1965 / 3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 11 (280) 20 აპრილი 1965 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

192. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლივიის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან დ. ი. ზაიკინის განთავისუფლების შესახებ.

193. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლივიის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ა. თოვმასიანის დანიშვნის შესახებ.

194. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. ვ. ჩერვონენკოს განთავისუფლების შესახებ.

195. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ვ. ზიმიანინის განთავისუფლების შესახებ.

196. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ვ. ჩერვონენკოს დანიშვნის შესახებ.

197. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

198. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

199. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ე. გ. მედინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

200. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. შესტუხინის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

201. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ შ. ე. მიქელაძის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

202. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. [illegible] ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

9474

№ 11 1980

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მუჰამედ არეფმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დობრივოე ვიდიჩმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილების შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება მეორე

203. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. მ. თავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

204. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

205. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ს. დოლიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

192 ლივიის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან დ. ი. ზაიკინის განთავისუფლების შესახებ

განთავისფლდეს დიმიტრი ივანეს ძე ზაიკინი ლივიის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 მარტი.
№ 3455-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

193 ლივიის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ა. თოვმასიანის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სურენ აკოფის ძე თოვმასიანი ლივიის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 მარტი.
№ 3456-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

194 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. ვ. ჩერვონენკოს განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს სტეფანე ვასილის ძე ჩერვონენკო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 აპრილი.
№ 3461-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ვ. ზიმიანინის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს მიხეილ ვასილის ძე **ზიმიანინი** ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 აპრილი.
№ 3463-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

196 ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ვ. ჩერვონენკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სტეფანე ვასილის ძე **ჩერვონენკო** ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 აპრილი.
№ 3464-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

197 კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ

I

ზოგადი დებულებანი

1. კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადს იხდიან სასოფლო-სამეურნეო არტელები, აგრეთვე მეთევზეობის არტელები, რომლებსაც შემოსავალი აქვთ სოფლის მეურნეობიდან, დამხმარე საწარმოებიდან და სამსახურის გაწევიდან.

საშემოსავლო გადასახადით იბეგრება:

ა) კოლმეურნეობის წმინდა შემოსავალი, რომელიც მიღებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან, სამსახურის გაწევიდან და დამხმარე საწარმოებიდან და სარეწავებიდან, შემოსავლის იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც შეესაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მება 15 პროცენტ რენტაბელობას, აგრეთვე კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის გადასახდელთა გამოკლებით, რომლებიც გამოანგარიშებულია მოცემული წლისათვის;

ბ) კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფონდის ნაწილი, რომელიც აღემატება საშუალო თვიურ ხელფასს მეურნეობაში მომუშავე ერთ კოლმეურნეზე გაანგარიშებით, იმ ოდენობით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აწესებს მეურნეობის რენტაბელობის მიუხედავად.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება თევზჭერის შემოსავალი, რასაც მეთევზეობის არტელები იღებენ სახელმწიფო დამამზადებლებისა და კოოპერაციისათვის თევზჭერის პროდუქციის ჩაბარებით.

2. საშემოსავლო გადასახადის გამოსაანგარიშებლად კოლმეურნეობის წმინდა შემოსავლის განსაზღვრისათვის იმ თანხას, რასაც შეადგენს პროდუქციის რეალიზაციით, სამსახურის გაწევით მიღებული ამონაგები, აგრეთვე კოლმეურნეთა და კოლმეურნეობაში სამუშაოდ მოწვეულ პირთა შრომის ასანაზღაურებლად გათვალისწინებული პროდუქციის ღირებულება (სახელმწიფო საცალო ფასებით), უნდა გამოაკლდეს ამ პროდუქციისა და გაწეული სამსახურის თვითღირებულება.

მეურნეობის რენტაბელობის დონე განისაზღვრება პროცენტით, როგორც შეფარდება კოლმეურნეობის წმინდა შემოსავლის თანხისა რეალიზებული პროდუქციის, გაწეული სამსახურის და იმ პროდუქციის თვითღირებულებასთან, რომელიც შრომის ანაზღაურების წესით უნდა მიეცეთ კოლმეურნეებსა და კოლმეურნეობაში სამუშაოდ მოწვეულ პირებს.

II

გადასახადის თანხის გამოანგარიშების წესი და გადასახადის გადახდის ვადები

3. ერთი წლის საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშება ხდება კოლმეურნეობის დასაბეგრი წმინდა შემოსავლის 12 პროცენტის ოდენობით, ხოლო შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრი ნაწილისა — იმ ოდენობით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აწესებს.

4. წლის განმავლობაში კოლმეურნეობები საშემოსავლო გადასახადს იხდიან ყოველკვარტალურად მიმდინარე წლის შემოსავლიდან.

მიმდინარე წლის I, II და III კვარტალებში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხის გამოანგარიშება ხდება შესაბამისი კვარტალის საფინანსო ანგარიშგებაში ნაჩვენები კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავლის იმ პროცენტის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება როგორც შეფარდება წინა წელს გამოანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის თანხისა კოლმეურნეობის ამავე წლის საერთო ფულადი შემოსავლის თანხასთან.

მიმდინარე წლის IV კვარტალში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხის გამოანგარიშება ხდება III კვარტალის საერთო ფულადი შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული გადასახადის თანხის პროცენტების საფუძველზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც შემდეგნაირად არის დიფერენცირებული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის:

ყაზახეთის სსრ კოლმეურნეობებისათვის — 50 პროცენტი;

რუსეთის სფსრ, საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეობებისათვის — 60 პროცენტი;

ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ კოლმეურნეობებისათვის — 80 პროცენტი;

უკრაინის სსრ, უზბეკეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ და თურქმენეთის სსრ კოლმეურნეობებისათვის — 100 პროცენტი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ გაადიდონ ან შეამცირონ IV კვარტალის საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების პროცენტი იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვალა ამ კვარტალის შემოსავლის ხვედრითი წონა მთელი წლის შემოსავლის საერთო თანხაში, აგრეთვე გაგრძელონ ერთი თვის ფარგლებში გადასახადის ვადები კოლმეურნეობების ეკონომიურ თავისებურებათა მიხედვით.

5. საშემოსავლო გადასახადს კოლმეურნეობები იხდიან შემდეგ ვადებში:

25 აპრილისათვის — I კვარტალის საერთო ფულადი შემოსავლიდან გამოანგარიშებულ თანხას;

25 ივლისისათვის — II კვარტალის საერთო ფულადი შემოსავლიდან გამოანგარიშებულ თანხას;

25 ოქტომბრისათვის — III კვარტალის საერთო ფულადი შემოსავლიდან გამოანგარიშებულ თანხას;

1 დეკემბრისათვის — თანხას, რომელიც გამოანგარიშებულია III კვარტალის ფულადი შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადის თანხის დადგენილი პროცენტით (IV კვარტალის საშემოსავლო გადასახადი);

საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 1 მარტისათვის — თანხას, რომელიც გამოანგარიშებულია მთელი წლის დასაბეგრი წმინდა შემოსავლის საფუძველზე I, II, III და IV კვარტალების გადასახდელთა ჩათვლით. თუ საშემოსავლო გადასახადის თანხა, გამოანგარიშებული მთელი წლის დასაბეგრი წმინდა შემოსავლის საფუძველზე, I, II, III და IV კვარტალების გადასახდელების თანხაზე ნაკლებია, ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება მიმდინარე წლის მორიგ გადასახდელში ან ამ თანხას საფინანსო ორგანო უბრუნებს კოლმეურნეობას მისი მოთხოვნით.

III

გადასახადის შეღავათები

6. ახალმოსახლეთა მეურნეობებისაგან შექმნილ კოლმეურნეობებს, აგრეთვე იმ კოლმეურნეობებს, რომლებმაც თავიანთ შემადგენლობაში მიიღეს ახალმოსახლენი, საშემოსავლო გადასახადის შეღავათები ეძლევათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება ეძლევა გაათავისუფლოს საშემოსავლო გადასახადისაგან კოლმეურნეობანი, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში კოლმეურნეობებს დაუწესოს გადასახადის შეღავათები სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების სტიმულირების მიზნით.

8. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ გადაუდონ საშემოსავლო გადასახადის ვადა ცალკეულ კოლმეურნეობებს და საჭირო შემთხვევებში ჩამოაწერონ კოლმეურნეობებს გადასახადის ნარჩენი რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე.

იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების შუამდგომლობით შეუძლიათ გადაუდონ საშემოსავლო გადასახადის ვადა სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ ცალკეულ კოლმეურნეობებს, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში სავსებით ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ ეს კოლმეურნეობანი გადასახადისაგან შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

9. კოლმეურნეობებს, რომლებიც დაზარალდებიან სტიქიური უბედურებისაგან (სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების, მრავალწლიანი ხეხილის ნაგრავების ან ძირითადი ქონების დაღუპვა სეტყვის, წყალდიდობის, გრიგალის, მერეხის, ხანძრის, მიწისძვრის, ზვავის, მეწყერის შედეგად და პირუტყვის გაწყვეტა), მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით შეიძლება გაუგრძელდეთ გადასახადის ვადა მიმდინარე წლის ფარგლებში.

IV

პასუხისმგებლობა გადასახადის გადაუხდელობისათვის

10. საშემოსავლო გადასახადის სწორად გამოანგარიშებისა და დროულად გადახდისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კოლმეურნეობის გამგეობას.

კოლმეურნეობის გამგეობა მოვალეა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმებით შესაბამის საფინანსო ორგანოში წარადგინოს:

ა) მიმდინარე წლის I, II და III კვარტალების საერთო ფულადი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებანი.

III კვარტლის ფულადი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადის თანხის გაანგარიშებასთან ერთად კოლმეურნეობანი მოვალენი არიან წარადგინონ IV კვარტალის საშემოსავლო გადასახადის თანხის გაანგარიშება;

ბ) საანგარიშგებო წლის დასაბეგრი წმინდა შემოსავლის, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრი ნაწილისა და მთელი წლის საშემოსავლო გადასახადის თანხის გაანგარიშებანი.

11. საშემოსავლო გადასახადს კოლმეურნეობანი იხდიან პირველ რიგში დადგენილ ვადებში. გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხები ჩამოიწერება კოლმეურნეობათა მიმდინარე ანგარიშებიდან (გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიშებისა) იმ წესით, რომელიც სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დადგენილია ბიუჯეტში გადასახდელთა შეტანის შესახებ.

გადასახდელის ვადის გადამცილებელთ გადახდებათ საურავი 0.05 პროცენტის ოდენობით ყოველი გადაცილებული დღისათვის.

12. განცხადებებისა და საჩივრების შეტანა ვერ შეაჩერებს გადასახადის გადახდევინებას.

იმ შეთხვევებში, როცა გადაწყვეტილება გამოტანილია კოლმეურნეობის სასარგებლოდ, არასწორად შემოსული თანხა კოლმეურნეობას უბრუნდება სულ ბევრი 10 დღეში გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

13. საფინანსო ორგანოებს ეკისრებათ კონტროლი გაუწიონ კოლმეურნეობების საშემოსავლო გადასახადის სწორად გამოანგარიშებას და დროულად გადახდას.

საფინანსო ორგანოები კვარტალური საფინანსო ანგარიშებისა და წლიური საბუღალტრო ანგარიშების და ბალანსების მონაცემების მიხედვით, აგრეთვე კოლმეურნეობების სათანადო დოკუმენტების მიხედვით ამოწმებენ კოლმეურნეობების გამგეობათა შედგენილ საშემოსავლო გადასახადის კვარტალურ და წლიურ გაანგარიშებებს.

თუ საშემოსავლო გადასახადის თანხა სწორად არ არის განსაზღვრული, მოხდება გადასახადის თანხის შესაბამისი გადაანგარიშება.

* *
*

14. ამ ბრძანებულების გამოყენების ინსტრუქციას ერთობლივად გამოსცემენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

15. ეს ბრძანებულება ძალაში შედის კოლმეურნეობების 1966 წლის შემოსავლის დაბეგვრის დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 აპრილი.

№ 3472-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

198 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 10 აპრილის ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული ბრძანებულების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება „კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ., № 19, მუხ. 495);

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება „კოლმეურნეობათაგან ბიუჯეტის გადასახდელთა გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 23, მუხ. 346);

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების წესის შეცვლის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 1).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 12 აპრილი.

№ 3473-VI.

განკოფილება მეორე
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

199 კომპოზიტორ ე. გ. მედინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დამსახურებისათვის საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი ექაბ გიორგის ძე **მედინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 აპრილი.

№ 3465-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

200 ამხ. ნ. ვ. შესტუხინის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

სოციალისტური საკუთრების დაცვისას გამოჩენილი თავდადებული მოქმედებისა და მამაცობისათვის ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე **შესტუხინი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 აპრილი.

№ 3470-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

201 პროფესორ შ. ე. მიქელაძის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დამსახურებისათვის მათემატიკური მეცნიერების განვითარებასა და მეცნიერული კადრების მომზადებაში და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფესორი შალვა ექვთიმეს ძე მიქელაძე დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 აპრილი.
№ 3471-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

202 ამხ. გ. ი. გაილეს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით ლატვიის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გიორგი ივანეს ძე **გაილე** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 13 აპრილი.
№ 3475-VI.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიური განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ცალკეულ სამრეწველო საწარმოთა და ობიექტთა მშენებლობაში ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ, რომლებიც ემყარებიან სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას და ხელმძღვანელობენ ურთიერთმისწრაფებით შემდგომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განავითარონ და განამტკიცონ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, დამყარებული ორივე ქვეყნის თანასწორობის, შინაურ საქმეებში ჩაურევლობის და ეროვნული ღირსებისა და სუვერენიტეტის სრული პატივისცემის პრინციპებზე, იმ მიზნით, რომ ეკონომიური და ტექნიკური ხელშეწყობა ჰქონდეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიური განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ცალკეულ სამრეწველო საწარმოთა და ობიექტთა მშენებლობის განხორციელებას, 1964 წლის 22 სექტემბერს მოსკოვში დადეს შეთანხმება ცალკეულ სამრეწველო საწარმოთა და ობიექტთა მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმება რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1964 წლის 12 დეკემბერს; არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1964 წლის 28 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ქ. კაიროში 1965 წლის 23 თებერვალს.

შეთანხმება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 14, 1965 წლის 7 აპრილი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მუჰამედ არეფმა

საბჭოთა კავშირს ჩამოსულმა ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მუჰამედ არეფმა 31 მარტს კრემლში თავისი რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ელჩს ახლდნენ საელჩოს პირველი მდივანი ა. ვადანი, სამხედრო ატაშე პოდპოლკოვნიკი ა. რ. სულეიმანი, სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოდპოლკოვნიკი მ. ა. ასკერიარი, მეორე მდივნები ა. ჯამილი და ა. თარზი, ატაშე ა. ა. ნაიმი.

ა. ი. მიქოიანმა და მ. არეფმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით, რომლებშიც გამოთქვეს ორივე ქვეყნის მისწრაფება შემდგომ გააფართოონ და განამტკიცონ მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და მ. არეფს შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნებების სიგელები გადასცა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დობრივოე ვიდიჩმა

საბჭოთა კავშირს ჩამოსულმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დობრივოე ვიდიჩმა 1 აპრილს კრემლში თავისი რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ელჩს ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, საელჩოს მრჩეველი თ. გორსკი, მრჩევლები მ. ვლახოვიჩი, მ. მაქსიჩი, ნ. გრებენარი, ა. მიჩევიჩი, სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი რ. ერცეგი, პირველი მდივანი დ. ვუკმანოვიჩი და მეორე მდივანი ა. ჯუროვიჩი.

ა. ი. მიქოიანმა და დ. ვიდიჩმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს. მათ აღნიშნეს, რომ ძირითადი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის პოზიციები ემთხვევა ან უახლოვდება ერთმანეთს, და გამოთქვეს რწმენა, რომ ნაყოფიერი თანამშრომლობა ძმური მეგობრობა საბჭოთა და იუგოსლავიის ხალხებს შორის განვითარდება და მკვიდრი გახდება სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის ერთიანობისა და დარაზმულობის შემდგომი განმტკიცების საკეთილდღეოდ.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და დ. ვიდიჩს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც თბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. პ. ფირიუბინმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

თვალსაჩინო დამსახურებისათვის ტაჯიკეთის სსრ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 3 აპრილის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა ტაჯიკეთის სსრ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის 15 მოწინავეს.

ტაჯიკეთის სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 3 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ტაჯიკეთის სსრ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, ვაჭრობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები. სულ დაჯილდოებულია 2484 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 95 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 330, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 574, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 800 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 685 კაცი.

ბრძანებულებები ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ

1965 წლის 21 მარტს გაიმართა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები ესტონეთის სსრ ვალგას № 357 საარჩევნო ოლქში.

ვალგას № 357 საარჩევნო ოლქისაგან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. არტურ პავლეს ძე **ვადერი**, ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილების შესახებ

რსფსრ

მუშათა ახალშენ კორაბლინოს გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 1 აპრილის ბრძანებულებით რიაზანის ოლქის კორაბლინოს რაიონის მუშათა ახალშენი კორაბლინო გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

ნაწილი II

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

203 ამხ. თ. მ. თავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სამტრედიის რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. თამარ მიხეილის ასული **თავაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 15 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

204 ამხ. ვ. ი. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩოხატაურის რაიონის განახლების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვიქტორ ირაკლის ძე **დოლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 15 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

205 პროფესორ ი. ს. დოლიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში მეცნიერულ მუშაობაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, პროფესორ ისიდორე სამსონის ძე **დოლიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 15 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწორება

1965 წლის 10 თებერვლის № 4 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ 47 მუხლით გამოქვეყნებული „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 9, 19 და 21 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 პუნქტი უნდა იკითხებოდეს:

3. 21 მუხლის სახელწოდება და ამ მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21. საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა —

ა) სსრ კავშირის სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობის, ან საბჭოთა კავშირზე მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად დაცვის საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც შედის საბრძოლო ჯგუფეულის, ეკიპაჟის, საგუშაგოს სამორიგეო ცვლის ან სხვა სამორიგეო ქვეგანაყოფის შემადგენლობაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლიდან ხუთ წლამდე“.